საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/25

ქ.თბილისი

"29" მაისი 2017 წ.

ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ინტერნეტის მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების და შემდგომ მისი განხორციელების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) რატი სხირტლაძე - ბაზრის ანალიზის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);
ბ) ქეთი რეხვიაშვილი - ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისი;
გ) აკაკი სურგულაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;
დ) მარიამ სულაბერიძე - საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსასურის მთავარი სპეციალისტი;
ე) თამთა ტეფნაძე - მომხმარებელთა ინტერესების საზ. დამცველი;
ვ) დავით ქუთათელაძე - სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა უზრუნველყონ:

ა) ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

ბ) ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამართლებრივი ნორმების პროექტის შემუშავება;

გ) ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტილების პროექტის შემუშავება;

დ) ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფის კოორდინაცია.

3. ამ გრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი;

4. კონტროლი აღნიშნული გრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა);

5. გრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

6. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური